შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა დანართი N2

2019 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N127 (SMP190003611) ხელშეკრულებაზე

დაბა მესტია 9 ივლისი, 2020 წელი

ერთის მხრივ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში -„შემსყიდველი“) წარმოდგენილი მერის კაპიტონ ჟორჟოლიანის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ბუილდერ 21“-ის დირექტორი ზაზა ნიგურიანის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) შპს ,,ბუილდერ 21“-ის 2020 წლის 2 ივნისის N726 მომართვის, ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 5 ივნისის N70 მოხსენებითი ბარათისა და მხარეთა შორის 2019 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N127-ე ხელშეკრულების მე-18 მუხლის 18.1 და 18.2 პუნქტის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება მესტიის მუნიციპალიტეტში ეცერის ტერიტორიულ ერთეულში ახალი ამბულატორიის მშენებლობის თაობაზე მხარეთა შორის 2019 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N127-ე ხელშეკრულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შპს „ბუილდერ 21“-ის მიერ წარმოდგენილი წერილის, მასზე თანდართული კორექტირებული ხარჯთაღრიცხვისა და ზედამზედველობის სამსახურის 2020 წლის 5 ივნისის N70 მოხსენებით ბარათში მითითებული ცვლილებების შესაბამისად.

2. აღნიშნულ მომართვასა და მოხსენებით ბარათში მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, მესტიის მუნიციპალიტეტში ეცერის ტერიტორიულ ერთეულში ახალი ამბულატორიის მშენებლობის დამატებით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს - 10 904 (ათი ათას ცხრაას ოთხი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, რომელიც დაფინანსდეს 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

3. აღნიშნული ცვლილების შედეგად, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვროს 119 949 (ას ცხრამეტი ათას ცხრაას ორმოცდა ცხრა) ლარით; (დღგ-ს ჩათვლით).

4. წინამდებარე დანართზე თანდართული, მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი კორექტირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი).

5. აღნიშნული ცვლილება იწვევს ხელშეკრულების საკონტრაქტო ფასის ცვლილებას, შესაბამისად შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში, გატარებული ცვლილებების გათვალისწინებით.

6. წინამდებარე შეთანხმება, მასზე თანდართული დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს 2019 წლის 19 სექტენბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N127-ე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

7.დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
მესტიის მუნიციპალიტეტის მერია	**შპს ,,ბუილდერ 21“**
ს/კ 235895046	**ს/კ 435894506**
მერი	**დირექტორი**
კაპიტონ ჟორჟოლიანი	**ზაზა ნიგურიანი**
---	---
Mestia Municipality Digitally signed by Mestia Municipality Date: 2020.07.10 11:08:22 +04'00'	Zaza Niguriani Подписано цифровой подписью: Zaza Niguriani Дата: 2020.07.09 17:09:34 +03'00'